საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/46

ქ. ბათუმი 06 აგვისტო, 2020 წ.

,,ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დანართი 1-ის 2.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.3. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი მაგისტრანტობის კანდიდატთა აღრიცხვას აწარმოებს სპეციალურ ჟურნალში, სადაც ფიქსირდება: მაგისტრანტობის კანდიდატის სახელი და გვარი, სასურველი სამაგისტრო პროგრამა, ფაკულტეტი, წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალი, ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, ჩასაბარებელი უცხო ენა (ბსუ-ს „ლინგვისტიკის“ და ,,ევროპეისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის - B2 დონე, ხოლო სხვა სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის - B1 დონე), მაგისტრანტობის კანდიდატისა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები და რეგისტრაციის თარიღი.“

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**